ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 93

22 სექტემბერი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ლევან არველაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები:(11-01202592279;11-01202652245;11-01202613020;11-012026678;11-01202582448) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (#15-032025990-03;15-032026586-03;15-0320261121-03;15-032026613-03;12-032025884-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობების, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები. მნიშვნელოვანი ცვლილებაა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს კვარტალური ცვლილება. კერძოდ ქვეყანაში პანდემიის (covid-19) შედეგად შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბავშვო ბაგა-ბაღების ფუნქციონირება გაგრძელდეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან. პანდემიის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო შესაბამისი რეგულაციები, რათა თავიდან იქნას აცილებული საბავშვო ბაგა-ბაღებში კორონავირუსის გავრცელება. აღნიშნული რეგულაციების სრულფასოვნად შესრულებისათვის საჭიროა სხვადასხვა საქონლის და მომსახურების შესყიდვა, რისთვისაც სააგენტოს მესამე კვარტალში სუბსიდიის მუხლში დამატებით ესაჭიროება 3 900 000 ლარის დამატება. აღნიშნული თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან.

გარდა ამისა წარმოდგენილია სამგორის, გლდანის, საბურთალოს, კრწანისის და ვაკის რაიონული გამგეობებისათვის მიკუთვნებულ პროგრამებში კვარტალური ცვლილებები.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, გლდანის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 40 000 ლარით; ხოლო კრწანისის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების„ პროგრამაში - 185 000 ლარით. ვაკის რაიონის „კეთილმოწყობის

ღონისძიებების“ პროგრამის მესამე კვარტლის გეგმას იზრდება 40 000 ლარით , ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ პროგრამის მესამე კვარტალის გეგმა იზრფება 93 310 ლარით.

საბურთალოს რაიონის გა,მგეობას „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამის მესამე კვარტალში მოთხოვნებიდან გამომდინარე დამატებით სჭირდება 27 800 ლარი.

მცირდება სამგორის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში მესამე კვრატლის გეგმა 167 000 ლარით, ხოლო „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის მესამე კვარალის გეგმა 138 600 ლარით. თანხების გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.

ირდება ასევე, „თეატრი გლობუსის“ „საქონელი და მომსახურების“ მუხლი 19600 ლარით, საიჯარო თანხების ასანაზღაურებლად. „ბიზნესის სტიმულირების“ პროგრამის საბიუჯეტო კლაისფიკაციის მუხლიდან „მიმდინარე ტრანსფერები, რომლები სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“- გაიცემა გრანტის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი მომსახურეების ანაზღაურება. ვალუტის კურსის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე ამ მუხლში საკმარისი რესური სექტემბრის თვეში შრომის ანაზღაიურების გასაცემად არ არის, გამომდინარე აქედან აღნიშნული კლასიფიკაციის მუხლის მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 20 000 ლარით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც საბურთალოს, გლდანის, კრწანისის, ვაკის და სამგორის რაიონული გამგეობები, ასევე კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა , ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურები და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია